



"მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი: პრემიერ-მინისტრმა სვანეთის მოსახლეობისთვის მიცემული პირობა დაარღვია



2013-09-18 16:39:32

ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელ დავით ჭიპაშვილთან

- ინდურ-ინგლისური კომპანიის "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" პროექტი მდინარე ენგურზე 700

მეგავატისანი ჰესისა და 200 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებს. შედეგად, დაიბნობება 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია და, მათ შორის, რამდენიმე სოფელი. პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგება როგორც გარემოს დამცველი ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი მცხოვრებლების მნიშვნელოვანი ნაწილი. ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით საჯარო განხილვები დაიწყო, რომელსაც თქვენც ესწრებოდით. რამდენად რთულად არის სიტუაცია?

- საჯარო განხილვა სამშაბათს ჩაიშალა, უფრო სწორედ, ადგილობრივმა მოსახლეობამ არც ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებს (მინისტრის მოადგილეს) და არც "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" წარმომადგენლებს არ მისცა საშუალება, რომ პროექტი წარმოედგინათ. მათ ინვესტორისადმი კონკრეტული მოთხოვნები აქვთ და სანამ ეს მოთხოვნები არ შესრულდება, რაიმეზე საუბარი შეუძლებელია. გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს მკვეთრად გამოხატული ორი პოზიცია. პირველი, მათი კუთვნილი ქონების, მიწების, საძოვრების და ასე შემდეგ უპირობო დაბრუნება, რომელიც "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიამ" 1 დოლარად მიითვისა.

მეორე - ადგილობრივი მოსახლეობა არ დაუშვებს „ხუდონჰესის“ მშენებლობას. ადგილობრივ მოსახლეობასთან არანაირ განხილვას აზრი არ აქვს, რადგან მათ გადასარევად იციან პროექტის როგორც ტექნიკური პარამეტრები, ასევე მისი ზემოქმედება. აქედან გამომდინარე, მათთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია. ხაიშის მოსახლეობის 85 ოჯახზე მეტი გაერთიანებულია ფიცის ქვეშ, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ისინი „ხუდონჰესის“ მშენებლობას არ დაუშვებენ.

ეს ფიცი დადებულია ეკლესიაში სვანური ტრადიციების სრული დაცვით. ასე რომ, მოსახლეობასთან მოლაპარაკებას არანაირი აზრი არ აქვს. მათი განცხადებით, თუ ჰესი მაინც უნდა აშენდეს, აშენდეს დაბალტურბლიანი კაშხალი, რომელიც არ გამოიწვევს ხაიშის, შესაბამისად, ეკლესიების, სასაფლაოების დატბორვას და მათ გადასახლებას. ეს არის ერთადერთი მოთხოვნა. მეორე მოთხოვნაა, დაუბრუნდეთ მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთები.

- მიწის ნაკვეთები ჰესისთვის არის განკუთვნილი? თუ კაშხლის სიდიდეს უნდა შემცირდეს, შემცირდება სიმძლავრეც, ასევე შემთხვევაში პროექტის ღირებულება უნდა შეიცვალოს?

- რა თქმა უნდა. დღეის მდგომარეობით, პროექტის ღირებულება 1.2 მილიარდ დოლარს შეადგენს. 700 მგვტ-იანი ჰესის ალტერნატივა ინტვესტორების მიერ განხილულია როგორც საუკეთესო, ვინაიდან ამ პროექტის თანახმად ხდება ჰიდროპოტენციალის სრულად ათვისება. მაგრამ თუ ვსაუბრობთ მდგრად

ენერგეტიკაზე, ასევე ვსაუბრობთ მოსახლეობაზე და მათ ინტერესებზე, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მხოლოდ ენერგეტიკული თვალსაზრისით არ უნდა იყოს მიღებული. მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. თუ აშენდება გაცილებით დაბალი კაშხალი, რომელიც არ დატბორავს ხაიშს, შესაბამისად სიმძლავრე დაბალი იქნება, თუმცა მეორეს მხრივ, ამ პროექტს სოციალური ზემოქმედება აღარ ექნება.

აქედან გამომდინარე, საუკეთესო გამოსავალია დაბალკაშხლიანი ჰესის მშენებლობა. სხვათაშორის, არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ მკვეთრად აკრიტიკებდა და საარჩევნო პროგრამაში პირდაპირ ეწერა, რომ თუ ხალხი წინააღმდეგი იქნებოდა, ისინი „ხუდონჰესის“ აშენებას არ დაუშვებდნენ. დღეს ხაიშის მოსახლეობის 100 პროცენტი წინააღმდეგია, თუმცა ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე პირდაპირ ლობირებდა ამ კერძო პროექტს და მოსახლეობას ეუბნებოდა, რომ მშენებლობა გადაწყვეტილია.

– როგორც ჩანს, თქვენ ემხრობით, რომ შემცირდეს ჰესის სიმძლავრე და მოსახლეობის პოზიციაც გათვალისწინებული იყოს. თუმცა მთავრობა ამბობს, რომ ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „ხუდონჰესის“ მშენებლობა. როდესაც არჩევანია ქვეყნის განვითარებასა და კონკრეტული რაიონის მოსახლეობას შორის, ამ შემთხვევაში არჩევანი როგორ უნდა გაკეთდეს, მთავრობამ ცივი გონებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ ეს პოზიციებიც გაითვალისწინოს?

– ბოლო პერიოდში მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს ეს არის ქვეყნისთვის აუცილებელი პროექტი. ეს პროექტი პირველ რიგში არის კერძო. აქ სახელმწიფო არაფერ კავშირში არ არის. მეორეც – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, რომლის საფუძველზეც ნებართვა უნდა გაიცეს, არანაირად არ ჩანს, ამ პროექტს ქვეყნისთვის რა სარგებლობა მოაქვს. არა ინვესტორისთვის, არამედ ქვეყნისთვის.

შესაბამისად, ძალიან სერიოზული კითხვის ნიშნები ჩნდება. სჭირდება კი ქვეყანას ამხელა ჰიდროელექტროსადგური, მაშინ როდესაც ამ ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოთქმული ელექტროენერგიით (მილიარდ ნახევარი კილოვატ-საათი) 133 მილიონი კილოვატსაათი უნდა მოხმარდეს საქართველოს ენერჯის სექტორში. შესაბამისად, საუბარი ენერგოუსაფრთხოებაზე, ენერგოდამოკიდებლობაზე არის სასაცილო იმიტომ, რომ საშუალო დონის ჰესები ორჯერ მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ და საქართველოს ელექტროსისტემას აწვდიან, ვიდრე ამ პროექტის მიხედვით „ხუდონჰესმა“ უნდა მიაწოდოს საქართველოს.

გარდა ამისა, საქართველოს თუ დასჭირდება ელექტროენერჯის ყიდვა „ხუდონჰესისგან“, მას მოუწევს ამ ელექტროენერჯაში საერთაშორისო ფასის გადახდა. ამ შემთხვევაშიც იბადება შეკითხვა, რა სარგებლობა მოაქვს ამ პროექტს საქართველოსთვის, თუ ელექტროენერჯის ჩვენ საერთაშორისო ფასად ვიყიდით? ამ ხელშეკრულების მიხედვით, ქვეყნისთვის არანაირი რეალური სარგებელი არ ჩანს. ძალიან მარტივ მაგალითს გეტყვით: პროექტის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ექსპლოატაციის პროცესში ქვეყანა ფულადი ერთეულების სახით წელიწადში მიიღებს მხოლოდ და მხოლოდ 26 მილიონ ლარს საშემოსავლო და ქონების გადასახადის გათვალისწინებით. ვინაიდან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სხვა გადასახადების გადახდა არ მოხდება. 26 მილიონი ლარი წელიწადში ამხელა პროექტისათვის და იმ ზიანისთვის, რაც გარემოს ადგება, არის მიზეზი, ან ესეც აღარ არის.

მართო ის რად ღირს, რა ქონება გაანავა სახელმწიფომ ამ ინვესტორის სასარგებლოდ. ვგულისხმობ იმას, რომ 179 მილიონი ამერიკული დოლარის ქონება და 1500 ჰექტარი, საიდანაც 1100 ჰექტარი ტყის მასივებს მოიცავდა, უფასოდ, სიმბოლურ 1 დოლარად გადაეცა ინვესტორს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ჰესიდან ელექტროენერჯის შეღავათიან ტარიფადაც კი არ მივიღებთ. 133 მილიონი კილოვატსაათს, რომელიც საქართველოს უნდა მიაწოდოს ამ კომპანიამ, მიაწოდებს 5,84 ამერიკულ ცენტად, რასაც ელექტროსისტემაში შესვლის შემდეგ სადისტრიბუციო ხარჯების გათვალისწინებით ადვილი გამოსათვლელია რა ზემოქმედება ექნება საბოლოო ტარიფზე. ამიტომ ამ პროექტს სარგებელი არ აქვს. მის სტრატეგიულობაზე საუბარი სასაცილოა და ხალხის მოტყუებაა.

– მაშინ რატომ თანხმდება მთავრობა ამას, მითუმეტეს როდესაც წინა მთავრობის პერიოდში შემორანდული გაფორმებული? რა ხელს ამღვეს მთავრობას ამ პროექტის განხორციელება თუ სარგებელი არ იქნება და მითუმეტეს ამხელა ზარალს მივიღებთ (განადგურდება ბუნება და ხალხი საცხოვრებლის გარეშე დარჩება)?

– ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავარკვიოთ ვინ არის „ტრანს ელექტრიკ“. ეს არის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანია, რომლის აქციონერებიც აბსოლუტურად გაურკვეველი კომპანიები არიან. მათივე ვებ-გვერდის ინფორმაციით, ერთ-ერთი აქციონერი არის ინდოეთში 2009 წლის 29 ივლისს დარეგისტრირებული კომპანია, რომელსაც მანამდე საერთოდ არაფერი საქმიანობა არ უწარმოებია. აქედან მომდინარეობს ალბათ ამ კომპანიის ინდური წარმომავლობა. მეორე ეს არის დიდი ბრიტანეთის კომპანია, რომელიც რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ლიკვიდირებულ იქნა დიდ ბრიტანეთში 2003 წელს. ანუ პრაქტიკულად ეს კომპანია არ არსებობს. მესამე კომპანია არის ამერიკული და ამ კომპანიის ვებ-გვერდიც კი არ იმეზნება. აქედან გამომდინარე, ეს არის კომპანია, რომელსაც ჰყავს 3 აბსოლუტურად გაურკვეველი ინვესტორი. თვითონ ამ კომპანიას არაფერი არ უკეთებია. არ აუშენებია პატარა მაღაზიაც კი და უცბად

გვევლინება ქვეყანაში მთავარ ინვესტორად, რომელმაც უნდა ააშენოს ყველაზე რთული ინფრასტრუქტურული პროექტი მსოფლიოში, რასაც ჰქვია ხუდონის ჰიდროელექტროსადგური.

- როგორც ვიცი ენერჯეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავაა ამ კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

- ეს არის ყველაზე საოცარი, რომ რატომღაც ამ კომპანიის გენერალური და ტექნიკური დირექტორები ყველა ქართველია. თუმცა მას მაინც ინდური კომპანია ჰქვია. აქ არის ერთი მარტივი კითხვა: ვინ არის ეს კომპანია და რომელი ყოფილი თუ არსებული მაღალჩინოსნები დგანან მის უკან? იმ პირობებში, როდესაც კომპანია არ ამბობს, ვინ არის და რას წარმოადგენს, ყველას უჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული კომპანია ქვეყანაში ფულის გასათეთრებლად არის შექმნილი. კომპანიის მიერ მცირე შეცდომაც კი გამოიწვევს ამ კაშხლის ნგრევას, რომლის საფუძველზეც 364 მილიონი კუბური მეტრი წყალი არათუ გადაუვლის ენგურის წყალსაცავს, არამედ ენგურის კაშხლის ნგრევასაც გამოიწვევს. ეს იქნება სრული კატასტროფა საქართველოში. ეს კი ამ კომპანიას შესწავლილი არ აქვს. აღარაფერს ვამბობ სვანეთის მოსახლეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხაიში და ჭერები კოდორის ხეობის მოსახლეობა, ძალიან ადვილი წარმოსადგენია როგორ იზრდება პოლიტიკური რისკი თუნდაც რუსეთის მხრიდან ამ დაცარიელებული ტერიტორიის ოკუპაციის თვალსაზრისით.

- რაშია გამოსავალი? რამდენად შეძლებს მოსახლეობის პროტესტი ინვესტორის შეჩერებას? მეორეს მხრივ, გარდა ადგილობრივი პროტესტისა, საერთაშორისო ზეწოლით თუ შეიძლება პროექტზე ან მთავრობაზე რაიმე გავლენის მოხდენა? ანუ პროცესი გაუთავებელი პროტესტებით და საჯარო განხილვებით უნდა გაგრძელდეს?

- გამოსავალი სამწუხაროდ ახალ ხელისუფლებას უნდა ეპოვნა. მან საარჩევნო პროგრამაში პირდაპირ ჩაწერა, რომ დიდი ჰესების აშენებას არ აპირებდა და მან ეს პირობა ურცხვად დაარღვია. ასევე პირობა პრემიერ-მინისტრმაც დაარღვია. სანამ მას აირჩევდნენ, ის იმყოფებოდა ხაიში და მან მისცა მოსახლეობას პირობა, რომ რასაც ხალხი გადაწყვეტდა, იმას გააკეთებდა სახელმწიფოც იმიტომ, რომ ენერჯეტიკა მას ხალხისთვის სჭირდებოდა და არა პირიქით. სამწუხაროდ მან ეს პირობა დაარღვია. აქედან გამომდინარე, ხალხი დანებებას არ აპირებს. როგორც მოგახსენეთ, ფიცი არის დადებული და სვანური ტრადიციების მიხედვით ამ ფიცის დარღვევა წარმოუდგენელია, სიკვდილს უდრის. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა პროტესტს გააგრძელებს.

რაც შეეხება საერთაშორისო ზეწოლას, ძალიან კარგი იქნება, თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც ძალიან აქტიურად ჩაერთვებიან ამ პროცესში. „მწვანე ალტერნატივა“ როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით გააგრძელებს კამპანიას და გააკეთებს ყველაფერს, რომ აღნიშნული პროექტი არ განხორციელდეს.

Like 0 Tweet 0

Add a comment... Comment using...

Facebook social plugin

3551966
TOP.GE 6233
1729

ALL RIGHTS RESERVED, PROPERTY OF COMMERSANT

